ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები

II კვარტალი, 2021

სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი

<u>ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საინფორმაციო კამპანია</u>

- 2020 წლიდან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ (შემდგომში-სამინისტრო), ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, დაიწყო ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საინფორმაციო კამპანია, რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებულ საფრთხეებისა და სამინისტროს მიერ ამ კუთხით განხორციელებული რეფორმებისა და მიღწეული შედეგების შესახებ. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანია ხორციელდება ოთხი მიმართულებით: კიბერდანაშაული, კრიმინალური მენტალიტეტის წინააღმდეგ ბრძოლა, ტრეფიკინგი და ნარკოდანაშაული. კამპანია მოიცავს, როგორც პირისპირ შეხვედრებს ასევე, ვიდეორგოლების დამზადებასა და განთავსებას ტელევიზიებში, კამპანიას სოციალურ მედიაში და ა.შ.
  სამინისტროს ოფიციალურ პლატფორმებსა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის „Facebook“ და „Instagram“ ვებგვერდებზე რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით განხორციელებული აქტივობების შესახებ. ასევე, 2021 წლის პირველ კვარტალში გამოქვეყნდა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის საქმიანობის ანგარიში (გრაფიკული ვიდეო). გარდა ამისა, პერიოდულად ქვეყნდება ბანერები/პოსტერები კიბერდანაშაულის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით.

- ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიის (რომელიც ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება) ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა. კამპანიის მიზანია, მოსახლეობის ინფორმირება ერთი მხრივ ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეულ ზიანზე, ხოლო მეორე მხრივ სამინისტროს მიდგომებზე ნარკოდანაშაულთან ბრძოლის მიმართულებით.

  ევროკავშირის მხარდაჭერით დამზადდა საინფორმაციო ბანერები/პოსტერები და გრაფიკული ვიდეოები, რომლებიც განთავსდა სოციალურ ქსელში, სამინისტროს

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ოფიციალურ „Facebook“ ვებგვერდზე.

კამპანიის ფარგლებში, 26 ივნისს, ნარკომანიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო სატელევიზიო გადაცემაში, სადაც ისაუბრა სამინისტროს მიდგომებზე ნარკოდანაშაულთან მიმართებაში და იმ ზიანზე, რომელსაც იწვევს ნარკოტიკების მოხმარება.

<u>„პოლიციის ფაილები“</u>

- 2021 წლის პირველ კვარტალში, “Discovery”-ის ოფიციალური ლიცენზიით გაგრძელდა კრიმინალურ-დოკუმენტური სერიალის „პოლიციის ფაილები“ გადაღება, რომელიც მიზნად ისახავს, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და საზოგადოებაში პოლიციის ნდობის გაზრდას რეალური შემთხვევების ჩვენებითა და შესაბამისად, პოლიციის საქმიანობის დეტალების გაცნობის გზით. 2021 წლის აპრილში, ერთ-ერთი ტელევიზიის ეთერში გავიდა „პოლიციის ფაილების“ მესამე სეზონის 4 სერია. სერიები ასევე განთავსდა „პოლიციის ფაილების“, სამინისტროსა და სხვადასხვა, რელევანტური დანაყოფების ოფიციალურ არხებზე („Facebook“ ვებგვერდები, „youtube“ არხი).

<u>**სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტი - მართლწესრიგის ოფიცრები**</u>

2021 წლის პირველ კვარტალში, სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა- მართლწესრიგის ოფიცრებმა ვიზიტები განახორციელეს თბილისის 34 საჯარო სკოლაში. შეხვედრები მიზნად ისახავდა ერთი მხრივ, მოსწავლეებისთვის მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის საქმიანობაზე ინფორმაციის მიწოდებას, ხოლო მეორე მხრივ, მათი ცნობიერების ამაღლებას ისეთ თემებზე, როგორიცაა ბულინგი, კიბერბულინგი, ბავშვთა უფლებები, მართლწესრიგი და ა.შ.

<u>**სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი- საგზაო უსაფრთხოების გაკვეთილები**</u>

2019 წლის ნოემბრიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად ახორციელებს პროექტს „საგზაო უსაფრთხოების გაკვეთილები საჯარო სკოლებში“. კერძოდ, განათლების სამინისტროს მიერ შერჩეულ საჯარო სკოლებში ხდება სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების ვიზიტი და საგზაო უსაფრთხოების თეორიული და პრაქტიკული გაკვეთილების ჩატარება.

კამპანიის მეორე ეტაპის ფარგლებში, 2021 წლის მაისიდან, სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა საგზაო უსაფრთხოების გაკვეთილები ჩაატარეს თბილისის 12 სკოლაში, I და II კლასის 900-მდე მოსწავლესთან.

<u>სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი</u>

- 2021 წლის 1 აპრილს, საქართველოს სტუდენტური პარლამენტის ორგანიზებით სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომელმა ჩაატარა საჯარო შეხვედრა სტუდენტებთან, თემაზე - ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, აბსოლიტური უფლებები, ევროსასამართლოს პრეცედენტები. შეხვედრას ესწრებოდა 100 სტუდენტი.
- 2021 წლის 8 აპრილს, „ახალი უმაღლესი სასწავლებელი“-ს სტუდენტებთან გაიმართა ონლაინ შეხვედრა სექსუალური შევიწროების თემაზე. შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორებიცაა სექსუალური შევიწროების არსი და ფორმები, სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებები, სექსუალური შევიწროების რეგულირება ქართულ კანონმდებლობაში და მასზე განსახორციელებელი რეაგირება, სექსუალურ შევიწროებაზე სამინისტროს პრაქტიკა. შეხვედრას უნივერსიტეტის 15-მდე სტუდენტი ესწრებოდა.
- 2021 წლის 10 აპრილს, საქართველოს სტუდენტური პარლამენტის ორგანიზებით, სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომელმა ჩაატარა საჯარო შეხვედრა სტუდენტებთან, თემაზე - შემაკავებელი ორდერი და მასთან დაკავშირებული საკითხები. შეხვედრაზე განხილულ იქნა შემაკავებელი ორდერი, შემაკავებელი ორდერის ოქმი, შემაკავებელი ორდერის გამოცემის წესი, პროცედურები და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული სხვა გარემოებები. შეხვედრას ესწრებოდა 40 სტუდენტი.
- 2021 წლის 16 აპრილს, სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ქ.თბილისის N146-ე საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებთან, საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გამართეს. სკოლის მოსწავლეებს, ინფორმაცია მიეწოდათ შემდეგ საკითხებზე: ბავშვობის ასაკში ქორწინება, მისი გამომწვევი მიზეზები, სახელმწიფოში არსებული მიდგომები და რეაგირების მექანიზმები, ნაადრევი ქორწინების უარყოფითი შედეგები და საზოგადოების ჩართულობის როლი.
- 2021 წლის 17 აპრილს, „ახალი უმაღლესი სასწავლებელი“-ს სტუდენტებთან გაიმართა ონლაინ შეხვედრა გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობის თემაზე. შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორებიცაა გენდერი (ცნება და მნიშვნელობა), გენდერული როლები, გენდერული თანასწორობა, სტერეოტიპები, გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულები და მასზე განსახორციელებელი რეაგირება. შეხვედრას უნივერსიტეტის 10-მდე წარმომადგენელი ესწრებოდა.
- 2021 წლის 17 აპრილს, საქართველოს სტუდენტური პარლამენტის ორგანიზებით სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის

დეპარტამენტის თანამშრომელმა ჩაატარა საჯარო შეხვედრა სტუდენტებთან, თემაზე - ბავშვობის ასაკში ქორწინება, ქორწინების იძულების დანაშაული, გამოწვევები და პრობლემები ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული სხვა გარემოებები. შეხვედრას ესწრებოდა 60 სტუდენტი.

- შეხვედრა ქ. თბილისის №71-ე საჯარო სკოლის და ქ. რუსთავის კერძო სკოლა, შპს „მილენიუმის“ მოსწავლეებთან. სკოლის მოსწავლეებს მიეწოდათ ინფორმაცია ისეთ რელევანტურ საკითხებზე, როგორიცაა ბავშვობის ასაკში ქორწინება, მისი გამომწვევი მიზეზები, საზოგადოების როლი ბავშვობის ასაკში ქორწინების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, ბავშვობის ასაკში ქორწინების უარყოფითი შედეგები, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულები და ამ ტიპის დანაშაულებისადმი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიდგომები.
- შეხვედრა ქ. თბილისის N146-ე საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებთან (20 მოსწავლე). სკოლის მოსწავლეებს მიეწოდათ ინფორმაცია ისეთ რელევანტურ საკითხებზე, როგორიცაა ბავშვობის ასაკში ქორწინება, მისი გამომწვევი მიზეზები, საზოგადოების როლი ბავშვობის ასაკში ქორწინების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, სახელმწიფოში არსებული სერვისები და რეაგირების მექანიზმები, ბავშვობის ასაკში ქორწინების უარყოფითი შედეგები და ამ ტიპის დანაშაულისადმი სამინისტროს მიდგომები.
- 2021 წლის 20 მაისს, სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო არასამთავრობო ორგანიზაცია "ადამიანის უფლებათა ცენტრი"-ს მიერ ორგანიზებულ შეხვედრაში. აღნიშნული ორგანიზაცია "ადამიანის უფლებათა ცენტრი" შიდა ქართლის რეგიონში ახორციელებს პროექტს მარტოდ მცხოვრები/მარტოხელა ხანდაზმულების მხარდაჭერის მიზნით. პროექტის ფარგლებში 300-მდე ხანდაზმულთან მოხდა გასაუბრება, რომლის შედეგად მოხდა მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის გაანალიზება და შესაბამისად, სხვადასხვა უწყებებთან განხორციელდა დისკუსია ძალადობის მსხვერპლი ხანდაზმულების პრობლემებისა და დაცვის მექანიზმების განხილვის მიზნით. შეხვედრაზე ისაუბრეს ორგანიზაციის და პარტნიორი ორგანიზაციების მიერ იდენტიფიცირებული პრობლემების შესახებ. შეხვედრა გაიმართა ონლაინ დისკუსიის რეჟიმში.
- 2021 წლის 1 ივნისს, სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს კამპანიაში, ეგიდით: "ჩვენ მხოლოდ სიყვარული გვჭირდება" . ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, შეხვედრა გაიმართა ქ. თბილისის N55-ე საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებთან გაიმართა (20 მოსწავლე). სკოლის მოსწავლეებს მიეწოდათ ინფორმაცია ისეთ რელევანტურ საკითხებზე, როგორიცაა: ბავშვების უფლებები და მოვალეობები, ბავშვობის ასაკში ქორწინება, მისი გამომწვევი მიზეზები, საზოგადოების როლი ბავშვობის ასაკში ქორწინების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, სახელმწიფოში არსებული სერვისები და რეაგირების მექანიზმები.
- 2021 წლის ივნისში, სამინისტრომ დაიწყო კამპანია **„ნუ წაართმევ ბავშვობას“,** რომლის მიზანია ბავშვობის ასაკში ქორწინების ხელშემწყობი დანაშაულების აღმოფხვრა და ამ საკითხზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. კამპანიის ფარგლებში, სამინისტროს ადამიანის უფლებების დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის

ოფიციალურ „Facebook“ გვერდზე გამოქვეყნდა თემატური გრაფიკული ვიდეო და ვიდეორგოლი, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისთან პარტნიორობით და შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით გამოცხადდა ფოტოკონკურსი. დეპარატამენტის წარმომადგენლებმა, საქართველოს მასშტაბით, არაერთი საინფორმაციო შეხვედრა გამართეს, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ როგორც სკოლის მოსწავლეები, ასევე მასწავლებლები, ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები, ფსიქოლოგები, ექიმები და იურისტები. საერთო ჯამში, შეხვედრებს დაესწრო 700-ზე მეტი მონაწილე.

<u>სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი -112</u>

- 2021 წლის 20 მაისს, სამინისტროს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრმა „112“ საგზაო უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით, კახეთის რეგიონში, თელავის, გურჯაანისა და ყვარელის რაიონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, საავტომობილო სიჩქარის 6 სექცია აამოქმედა. აღნიშნული სიახლის შესახებ ინფორმაცია განთავსდა „112“-ის ოფიციალურ „Facebook“ გვერდსა და ოფიციალურ ვებგვერდზე.
  ასევე, დამზადდა ვიდეორგოლი, რომელიც გამოქვეყნდა როგორც „112“-ის ოფიციალურ „Facebook“ და ვებგვერდზე, ასევე „112“-ის ოფიციალურ „youtube“-ის არხზე.
  აღნიშნული სიახლის შესახებ და ზოგადად საგზაო უსაფრთხოების მიმართულებით განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობების შესახებ შსს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“ დირექტორმა რამდენიმე ტელევიზიის ეთერში ისაუბრა. 2021 წლის 21 მაისს „112“-ის დირექტორი სტუმრად იმყოფებოდა ტელეკომპანია იმედზე, გადაცემაში „იმედის დღე“, სადაც ისაუბრა კახეთის რეგიონში დამატებით საავტომობილო სიჩქარის 6 სექციის ამოქმედების შესახებ. ასევე, სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებაზე, საგზაო უსაფრთხოების განმტკიცების მნიშვნელობაზე. ასევე, აღნიშნული საკითხების შესახებ იმავე დღეს მან ტელეკომპანია „რუსთავის 2“-ის დილის გადაცემაშიც ისაუბრა. გადაცემების ჩანაწერები განთავსდა სამინისტროს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“ ოფიციალურ „Facebook“ და „youtube“-ზე.

- 2021 წლის 1 ივნისი - ყოველი წლის 1 ივნისს, სამინისტროს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრში „112“ გმირი ბავშვების დაჯილდოება იმართება. 4 მოზარდს „112-ის გმირის“ წოდება მიენიჭა, რადგან მოზარდებმა ყველაზე მძიმე და გადამწყვეტ წუთებში სხვა ადამიანების გადასარჩენად, გადაუდებელი დახმარების ნომერზე დროულად დარეკეს.
  ტელეკომპანია „იმედზე“, დღის შოუს პირდაპირ ეთერში გაიმართა გმირი ბავშვების დაჯილდოება. მოზარდებმა თავად გაიხსენეს 112-ში ზარის განხორციელების მომენტები. ასევე გადაცემაში სტუმრად იმყოფებოდა სამინისტროს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“ ანალიზისა და პროექტების მართვის სამსახურის უფროსი, რომელმაც აღნიშნული პროექტის მნიშვნელობის შესახებ ვრცლად ისაუბრა.

აღნიშნული გადაცემის ვიდეოჩანაწერი განთავსდა „112“-ის ოფიციალურ „Facebook“ , ვებგვერდსა და „youtube“-ზე.
ასევე, ზარების აუდიო ჩანაწერების მიხედვით დამზადდა პატარა ვიდეოები, რომლებიც განთავსდა „112“-ის ოფიციალურ „Facebook“ , ვებგვერდსა და „youtube“-ზე.

<u>სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტი</u>

- 2021 წლის 24 ივნისი - გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის ორგანიზებით, ბათუმში გაიმართა შეხვედრა, რომელიც მიზნად ისახავდა აჭარის რეგიონის ადგილობრივი მუნიციპალიტეტების თანამშრომლებისთვის საქართველოში არსებული თავშესაფრის სისტემისა და ინტეგრაციის საკითხებზე ინფორმაციის მიწოდებას. შეხვედრაზე აჭარის რეგიონის ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები გაეცნენ ინფორმაციას საქართველოში არსებულ თავშესაფრის სისტემასა და ინტეგრაციის საკითხებზე.
- 2021 წლის 25 ივნისი - გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის ორგანიზებით, ბათუმში გაიმართა შეხვედრა, რომელიც მიზნად ისახავდა აჭარის რეგიონში მცხოვრებ საერთაშორისო დაცვის მქონე პირთათვის ინფორმაციის მიწოდებას მათთვის ხელმისაწვდომ სახელმწიფო სერვისებზე. აჭარის რეგიონში მცხოვრები საერთაშორისო დაცვის მქონე პირები გაეცნენ ინფორმაციას საქართველოში მათთვის არსებული სახელმწიფო სერვისების შესახებ.